სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 0 21 0001143490

26/10/2021

სტუდენტთა პერსონალური მონაცემების ავტომატურად დამუშავების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სტუდენტთა პერსონალური მონაცემების ავტომატურად დამუშავების წესის შესახებ დებულება (დანართი N1).
2. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს სტუ-ს საქმისწარმოების დეპარტამენტმა.
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).

რექტორი
გურგენიძე დავით